სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ირაკლი არღვლიანი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.21.01

სვანეთის ტერიტორიის მუდმივი დასახლების, საერთო ქართველური ფუძე-ენიდან სვანური მეტყველების ფორმირების და სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის განსახლების საკითხი ბრინჯაოს ხანაში

აბსტრაქტი. სვანებისა და სვანეთის ისტორიის უძველესი პერიოდის ერთ-ერთი კარდინალური საკითხებია, სვანეთის ტერიტორიის მუდმივი დასახლე-ბის, საერთო ქართველური ფუძე-ენიდან სვანური მეტყველების ფორმირების და სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის განსახლების საკითხი ბრინ-ჯაოს ხანაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატუ-რაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება, რომელთა ერთმანეთთან შეჯერებისა და არქეოლოგიურ და ლინგვისტურ მონაცემთა ახლებურად გააზრების შედე-გად, ჩვენს მიერ გაკეთებულია შემდეგი დასკვნები: სვანეთის ტერიტორიის მუ-დმივი დასახლების პროცესი უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. III ათასწლეულის მი-წურულიდან, დასავლეთ ამიერკავკასიისა და მტკვარ-არაქსის კულტურის მატა-რებელი ქართველური მოსახლეობის მიერ, რომელთაგან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, უნდა წარმართულიყო სვანურენოვანი ქართველური მოსახლეო-ბის ფორმირების პროცესი, რიონს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთი კალთების ჩათვლით. პრასვანური მოსახლეობის აღმოსავლეთით გავრცელების არეალი, პირობითად, ლიხის ქედამდე უნდა ვიგულისხმოთ, დასავლეთით კი, თუ უფრო შორს არა, სტრაბონის ცნობათა გათვალისწინებით (ის წელთაღრიცხ-ვათა მიჯნაზე, დიოსკურიის ზემოთ ,,სოანები“-ს განსახლებას ადასტურებს), მდინარე გუმისთამდე მაინც, რა თქმა უნდა, თუკი, სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთით ასე შორს განფენა უფრო გვიანდელი ხანის მოვლენას არ წარმოა-

[1] **ირაკლი არღვლიანი,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

დგენს. სვანურენოვანი მოსახლეობის ფართო განსახლებას, დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში, ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VIII საუკუნის 30-20-იან წლებამდე, კიმერიელთა გამანადგურებელ ლაშქრობებამდე.

საკვანძო სიტყვები: ბრინჯაოს ხანა, სვანეთის ტერიტორია, სვანურენოვანი მოსახლეობა, მეტალურგიული წარმოება, მაიკოპის კულტურა, მტკვარ-არაქსის კულტურა, კოლხური ბრინჯაოს კულტურა.

Irakli Argvliani[1]

Sokhumi State University

The Issue of the Permanent Settlement of the Svaneti Territory, the Formation of the Svan Language From the Common Kartvelian Root Language, and the Resettlement of the Svan-speaking Kartvelian Population in the Bronze Age

Abstract. Some of the cardinal issues of the ancient period of the history of the Svans and Svaneti is the issue of the permanent settlement of the Svaneti territory, the formation of the Svan language from the common Georgian root language, and the resettlement of the Svan-speaking Georgian population in the Bronze Age. Regarding these issues, a number of opinions have been expressed in the scientific literature, which, as a result of reconciling them with each other and re-interpreting archaeological and linguistic data, have led us to the following conclusions: The process of permanent settlement of the Svaneti territory should have begun by the end of the 3rd millennium BC, by the Georgian population, who were carriers of the Western Transcaucasia and Mtkvari-Araksi culture, of which the process of formation of the Svan-speaking Georgian population should have been carried out in the II millenium BC, on the territory lying north, northeast and northwest of the Rioni, including the southern slopes of the Caucasus. The area of the eastern spread of the pre-Svans population should be conditionally referred to the Likhi ridge, and to the west, if not further, taking into account the information of Strabo (he places the settlement of the „Soanes“ above the Dioscurias at the turn of the century), at least to the Gumista River, of course, if the spread of the Svan-speaking population so far to the west is not a later event. The widespread settlement of the Svan-speaking population, both in the mountainous and plain regions of Western Georgia, should have taken place before the 30s-20s of the VIII century BC, before the destructive campaigns of the Cimmerians.

***Keywords*:** Bronze Age, Svaneti territory, Svan-speaking population, metallurgical production, Maikopi culture, Mtkvari-Araksi culture, Kolkheti bronze culture.

---

[1] **Irakli Argvliani**, Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

შესავალი. ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებისათვის კავკასიაში დასრულდა ქვიდან ლითონის ეპოქაზე გარდამავალი საფეხური - ენეოლითი და საფუძველი ეყრება საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპს, ბრინჯაოს ხანას, რომელიც თითქმის სამ ათას წელს მოიცავდა.[1] ბრინჯაოს ხანის გარიჟრაჟზე საფუძვლიანი ცვლილებები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. საგრძნობლად დაწინაურდა სოფლის მეურნეობა და საერთოდ, ეკონომიკა, მეტადრე ლითონის წარმოება, რომლის წინსვლამ საზოგადოებაში მიმდინარე პროგრესული ხასიათის ძვრები განაპირობა. ცხოვრების პირობების მნიშვნე-ლოვანმა გაუმჯობესებამ მოსახლეობის ზრდა და კავკასიის ფართოდ ათვისების პროცესი გამოიწვია (ჯაფარიძე, 2006: 284).

ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ქართველური მოსახლეობა შიდა ქართლიდან დასავლეთ საქართველოში ვრცელდება. საწყის ეტაპზე, ისინი რიონ-ყვირილის აუზს ითვისებენ, სადაც დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურის მატარებელი ქართველური მოსახლეობა ბინადრობდა, შემდეგ კი კოლხეთის დაბლობამდე აღწევენ, რომელიც მანამდე თითქმის დაუსახლებელი იყო. სავარაუდოდ, სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელებას უნდა დაეჩქარებინა კოლხეთის დაბლობის ათვისების პროცესი. აქ, ამ დროს ჩნდება პირველი დასახლებები ზღვისპირა ზოლში, სამხრეთ-დასავლეთით ქობულეთის მხარეში (ისპანი) და ჩრდილო-დასავლეთით ენგურის ქვემო წელის რეგიონში (ანაკლია I-II, ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი, VIII-VII კულტურული ფენა. ამ დროის მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდა ოჩამჩირესთანაც) (ჯაფარიძე, 2003: 107-108, 128-131; ჯაფარიძე, 2006: 284, 289, 297-298).

როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობის აქტიურ ათვისებას ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოში მეტალურგიის აღორძინებამ და სოფლის მეურნეობაში ლითონის იარაღის საკმაოდ ფართოდ გამოყენებამ, რაც უთუოდ მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო (ჯაფარიძე, 2006: 298).[2] მიწათმოქმედებასთან ერთად, ადრებრინჯაოს ხანაში, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ვითარდება მესაქონლეობა და მეთუნეობა (ფხაკაძე,

---

[1] ბრინჯაოს ხანა კავკასიის ყველა რეგიონში ერთდროულად არ დამდგარა. დასავლეთ ამიერკავკასიაში ნეოლითური ტრადიციები უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე კავკასიის სხვა მხარეებში. ამიტომ, დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთთან შედარებით, ბრინჯაოს ხანა რამდენადმე გვიან იწყება, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში (ჯაფარიძე, 2003: 124-125).

[2] მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვით კავკასიის უძველესი მეტალურგიის აღმავლობის საქმეში, რომელიც ძველი სამყაროს ლითონის წარმოების ერთ-ერთი წამყვანი კერათაგანი იყო (ჯაფარიძე, 2006: 289).

1992: 247). მწარმოებლური მეურნეობის აღმავლობამ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მოსახლეობის ზრდა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, ახალი ფართობების ათვისების საჭიროება განაპირობა. ამიტომაც, ადრებრინჯაოს ხანაში ძირითადად დამთავრდა დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიის ათვისება. მჭიდროდ დასახლებული ჩანს ბარი, ბორცვოვანი ზოლი, ზღვის სანაპირო და მაღალმთიანი რაიონები (ფხაკაძე, 1992: 228).

დისკუსია. სვანეთის ტერიტორიაზე ადამიანის შეღწევის პირველი კვალი ქვის ხანის გვიანდელ საფეხურზე, ნეოლითის ხანაში დასტურდება.[1] მისი სამეურნეო ათვისებაც ამავე ხანაში უნდა დაწყებულიყო,[2] ხოლო მუდმივი დასახლების პროცესი ადრებრინჯაოს ხანიდან, კერძოდ, ძვ. წ. III ათასწლეულიდან არის ნავარაუდევი (ჯაფარიძე, 1982: 41; ჩართოლანი, 1992: 74, 80-81; ფხაკაძე, 1993: 30-31; ჩართოლანი, 1996: 141, 269, 272).[3] მართალია, სვანეთში დღემდე არ არის აღმოჩენილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, თუმცა, მკვლევრები ფიქრობენ, რომ ისინი იქ არსებობდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის. მათი აზრით, ამ ფაქტს უნდა ადასტურებდეს სვანეთში აღმოჩენილი შესაბამისი პერიოდების მრავალრიცხოვანი ლითონის ინვენტარი (სხვადასხვა ტიპის ყუადაქანებული, ყუამილიანი ცულები, ბრტყელი ცულები, შუბისპირები და ა. შ.), რომელთა ჩამომსხმელი უნდა ყოფილიყო ამავე ეპოქის ნამოსახლარებზე მცხოვრები პროტოკოლხური კულტურის მატარებელი სვანურენოვანი მოსახლეობა (კვიციანი, ჯიბლაძე, 2010: 32-33; კვიციანი, ჯიბლაძე, 2015: 84).[4]

---

[1] მესტიის რაიონში, სოფელ ლენჯერის ტერიტორიაზე, ადგილ ,,ლებიქვ"-ში, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე, მდინარე მესტია-ჭალასა და ენგურის წყალგამყოფი ქედის, ჰაწვალის ჩრდილოეთ ფერდობის ერთ-ერთ ტერასაზე, იქ, სადაც სოფელ ლენჯერიდან ჰაწვალისა და სოფელ ჰეშკილისაკენ მიმავალი გზა კვეთს სოფლის სათიბებს, 1964 წელს, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციამ აღმოაჩინა ნეოლითური ხანის, ძვ. წ. VII-VI ათასწლეულის ღია ნამოსახლარი. ამავე ხანის ძეგლი აღმოჩნდა ქვემო სვანეთშიც, ლენტეხის რაიონის სოფელ რცხმელურთან, ადგილ ,,ლაზგა"-ს ტერიტორიაზე (აქ აღმოჩენილი მასალების ერთი ნაწილი უფრო გვიანდელი ეპოქის იერსახესაც ატარებს, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ენეოლითური ძეგლების არსებობას მიგვანიშნებს). სწორედ ნეოლითის ხანიდან უნდა იწყებოდეს დასავლეთ საქართველოს ბარის პრაქართველური მოსახლეობის მიერ დღევანდელი სვანეთის ტერიტორიის თანდათანობითი გაცნობა-ათვისების ხანგრძლივი პროცესი (ჩართოლანი, 1996: 36-41, 269).

[2] სეზონური სამეურნეო დანიშნულებით, ნადირობის, შემგროვებლობისა და მესაქონლეობისათვის (ჩართოლანი, 1996: 269; ჩართოლანი, 2010: 262).

[3] სხვების აზრით კი, სვანეთის ტერიტორიაზე მუდმივი დასახლების პროცესი შესაძლოა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დაწყებულიყო (კვიციანი, ჯიბლაძე, 2015: 87-88, 101).

[4] პროტო-კოლხური კულტურა, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანაში, კერძოდ, ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს და ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში, ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო განფენილი და მის ფარგლებსაც

სვანეთის ტერიტორიის მუდმივი დასახლების პროცესი, ძირითადად, ლითონის მოპოვებისა და დამუშავების ეპოქალური ინტერესებით უნდა ყოფილიყო განპირობებული (ჩართოლანი, 2010: 262). ბრინჯაოს მეტალურგიასთან ერთად, ბარის მოსახლეობის მიერ მთის ზოლის ინტენსიური ათვისების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მესაქონლეობის განვითარება (ჩართოლანი, 1996: 163; ჩართოლანი, 2010: 73). არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ძვ. წ. III ათასწლეულში სვანეთის ტერიტორიაზე მყარად ფეხმოკიდებული მიწათმოქმედ-მესაქონლე მოსახლეობა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ჯაფარიძე, 1982: 41-42; ფხაკაძე, 1993: 30-31). როგორც ჩანს, პირველი სწორედ მეჯოგეებმა და მწყემსებმა მიაკვლიეს მადნეულ საბადოებს დასავლეთ ამიერკავკასიის მთიანეთში (ჯაფარიძე, 2003: 184).

სვანეთში, შემთხვევითი თუ საძიებო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, გამოვლენილია ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამთამადნო თუ მეტალურგიული წარმოების ათეულობით ობიექტი, ამათგან სპილენძის მადნის არაერთი მაღარო (ჩართოლანი, 2010: 258). თითქოსდა ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რომ სვანეთის ძვ. წ. IV-III ათასწლეულების ლითონის არტეფაქტების ძირითადი ნედლეულის წყაროს ადგილობრივი სპილენძის უძველესი საბადოები (ზაარგაში, ლაფურის მთა და ა. შ.) წარმოადგენდეს (კვიცი-ანი, ჯიბლაძე, 2015: 95), თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული საერთო მოსაზრების თანახმად, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე არსებული სპილენძის სულფიდური მადნების ამოქმედება (მათ შორის სვანეთის) უფრო გვიან, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან იწყება (ინანიშვილი, ჩართოლანი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, მუჯირი, 1998: 52-57). აქედან გამომდინარე, დასაშვებად მიაჩნიათ, რომ სპილენძის მადანი აქ ჭოროხის აუზიდან, მურღულის მდიდარი საბადოებიდან შემოსულიყო (ჯაფარიძე, 2013: 16], რომელსაც რადიოკარბონული თარიღის მიხედვით ძვ. წ. IV ათასწლეულით ათარიღებენ (ღამბაშიძე, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე, 2010: XIV). სხვების აზრით კი, *„იქნებ სვანეთის ტერიტორიაზე განსახლებული პირველი მეტალურგები ღია მარტივი კარიელური წესით აწარმოებდნენ სპილენძის მადნის მოპოვებას“*, შესაბამისად, სვანეთის უძველესი ნივთების (ლუჰას ცული, უყუნწო სატევრისპირი; წვირმის, იფარის ყუადაქანებული ცულები და სხვა) დასამზადებლად შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ზედაპირულად განლაგებული სპილენძის ოქსიდური მადნები (ისევე, როგორც ამას აკეთებდა მტკვარ-არაქსისა და მაიკოპური კულტურის მატარებელი მოსახლეობა) (კვიციანი, ჯიბლაძე, 2015: 98-101).

სცდებოდა, სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის კუთვნილებად მიაჩნიათ სხვა მკვლევრებსაც (ბარამიძე, 1998: 126; ლორთქიფანიძე, 2002: 124).

გამოთქმულ მოსაზრებას თითქოსდა მეტ დამაჯერებლობას სძენს ის ფაქტი,[1] რომ სვანეთის ტერიტორია სწორედ მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ ამიერკავკასიის (რომელიც მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის იყო მოქცეული და მათ გარკვეულ გავლენას განიცდიდა) კულტურის მატარებელი ქართველური მოსახლეობის მიერ იქნა მუდმივ საცხოვრებლად ათვისებული.[2] მაგრამ, აღნიშნული პროცესი, სავარაუდოდ, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედში უნდა დაწყებულიყო.[3] შესაბამისად, სვანეთის უადრესი ლითონის ის ინვენტარი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდეა დამზადებული, მზა პროდუქტის სახით უნდა იყოს იქ გარედან შეტანილი.

დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიის ფართო ათვისების პროცესი, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში დაიწყო, შუა ბრინჯაოს ხანაში კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით წარიმართა. სოფლის მეურნეობაში ლითონის იარაღის საკმაოდ ფართოდ გამოყენებამ კოლხეთის დაბლობისა და მთისწინა ზოლის აქტიურ ათვისებას შეუწყო ხელი. მეტალურგიის დაწინაურება მთის დასახლებასაც უწყობდა ხელს, სადაც ამ დროს მძლავრად ამუშავდა მეტალურგიული

---

[1] მით უფრო, რომ ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სვანეთში თვითნაბადი სპილენძის არსებობა დადასტურებულია (ხუმფრერის ხეობაში, სოფელი ჩეიში, ქართულად სასპილენძე) (ჩარკვიანი, 1967: 152-153; ჩართოლანი, 1996: 184-186).

[2] ამის ერთ-ერთი დასტურია სვანეთის უადრესი ლითონის ინვენტარის (სპილენძის ყუადაქანებული და ფართოპირიანი ცულები, საჩხერული ტიპის ყუამილიანი ცულები, სპილენძის სატევარი და სხვა) ახლო პარალელები, ზოგ შემთხვევაში კი სრული იდენტურობა როგორც მტკვარ-არაქსული, ასევე მაიკოპური კულტურის ლითონის ინვენტართან (კვიციანი, ჯიბლაძე, 2015: 22-30, 31).

[3] ვფიქრობთ, რომ, ისევე როგორც რაჭაში, სვანეთის ტერიტორიაზეც, მეტალურგიული ცენტრის ამოქმედებას, მუდმივი დასახლების პროცესი უსწრებდა წინ, თუმცა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდე სვანეთის ტერიტორიის მუდმივი განსა-ხ-ლება, ნაკლებად სავარაუდო უნდა იყოს. სვანეთის ტერიტორიის მუდმივი განსახლების დროის განსაზღვრა, ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის უძველესი ნივთების ასაკის მიხედვით, მიუღებლად მიგვაჩნია. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედიდან კი, რიონ-ყვირილის აუზის მაცხოვრებელი ქართველური მოსახლეობის მიერ, რაჭის ტერიტორიის განსახლების პარალელურად, სვანეთის ტერიტორიის მუდმივ განსახლებასაც დასაშვებად ვთვლით. შესაბამისი დროის ნასახლარები, ისევე როგორც სვანეთში, მართალია, არც რაჭაშია დადასტურებული, თუმცა რიონის სათავეებთან, სოფელ ღების მახლობლად, ბრილში აღმოჩენილ სამაროვანზე, რომელიც დაახლოებით 2500 წლის მანძილზე, ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე მოქმედებდა, პირველი მიცვალებულები ადრებრინჯაოს ხანაში დაიმარხნენ (ჯაფარიძე, 2003: 184), რაც, ვფიქრობთ, აშკარა დასტურია იმისა, რომ რაჭის ტერიტორიის მუდმივი განსახლების პროცესი თუ უფრო ადრე არა, ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედიდან მაინც დაიწყო. ბრილის სამაროვნის სვანეთთან ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სვანეთის ტერიტორიის მუდმივი განსახლების პროცესიც თანადროულია. სხვების აზრით კი, რაჭის განსახლება ძვ. წ. II ათასწლეულიდან, ხოლო სვანეთისა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან არის სავარაუდო (ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 80-82).

კერები დასავლეთ ამიერკავკასიის როგორც ჩრდილო (აფხაზე-თი, რაჭა, სვანეთი), ასევე სამხრეთ პერიფერიაზე (ჭოროხის ხეობა). დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ინტენსიური ათვისების პროცესმა, როგორც ჩანს, შეანელა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. უძველესი ისტორიის არცერთ სხვა ეპოქაში არ ჩანს ისეთი შესუსტებული ურთიერთობა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს შორის, როგორც შუა ბრინჯაოს ხანაში. რიონ-ყვირილის აუზში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთ საქართველოს და მის ძლიერ გავლენას განიცდიდა, თითქმის აღარ იგრძნობა კავშირი თრიალეთის კულტურასთან (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) (ჯაფარიძე, 2003: 183-186, 190; ჯაფარიძე, 2006: 360, 362). სწორედ ამ დროიდან უნდა იღებდეს სათავეს საერთოქართველური ფუძე-ენის დაშლის პროცესი, რომლის საბოლოო ფორმირება მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღშია ნავარაუდევი (ჯაფარიძე, 2012: 40), სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში (ჯაფარიძე, 2006: 296 -298).

შუა ბრინჯაოს ხანაში საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის ურთიერთობის შესუსტებას, აღმოსავლურქართულ და დასავლურქართულ მეტყველებათა დაშორიშორება უნდა გამოეწვია. პარალელურად უნდა წარმართულიყო დასავლურქართული მეტყველების დივერგენცია სვანურ და ზანურ ენებად.

დასავლურქართული მეტყველების სვანურ და ზანურ ენებად დივერგენცია შემდეგი ფაქტორებით უნდა ყოფილიყო განპირობებული: დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ და სამხრეთ რაიონების ქართველური მოსახლეობა მდინარე რიონის ქვემო წელის ირგვლივ მდებარე ჭაობიანი ტერიტორიით, გარკვეულწილად იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან, რაც მათი მეტყველების დაშორიშორების წინაპირობას ქმნიდა. იზოლირების პროცესს ხელს უწყობდა დასავლეთ ამიერკავკასიის ჩრდილო და სამხრეთ რაიონებში მე-ტალურგიული კერების ამოქმედებაც, რადგან რიონს სამხრეთით არსებული ქართველური მოსახლეობა, ძირითადად, ჭოროხის მეტალურგიულ ცენტრთან იყო დაკავშირებული, ხოლო რიონს ჩრდილოეთით განსახლებული ქართველები კი აფხაზეთის, რაჭისა და სვანეთის მეტალურგიულ კერებთან (ჯაფარიძე, 2003: 183, 185-186). დასავლურქართული მეტყველების სვანურ და ზანურ ენებად დიფერენციაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა იმასაც, რომ, როგორც ჩანს, ზანურენოვანი მოსახლეობისაგან განსხვავებით, სვანურენოვანი მოსახლეობის ჩამოყალიბებაში, მაიკოპური კულტურის გავ-ლენის ქვეშ მყოფი, დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურის მატარებელმა ქართველურმა მოსახლეობამ მიიღო აქტიური მონაწილეობა. ძირითადად, სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული, ერთის მხრივ, სვანურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებს შორის არსებული პარალელები (თოფურია, 1931: IX; თოფურია, 2002: 214; ჯანაშია, 1959: 81-112),

მეორეს მხრივ კი, ის, რომ ქართულ და ზანურ ენებს მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე სვანურსა და ქართულს, ან სვანურსა და ზანურს (Климов, 1964: 34; Klimov, 1998: VIII; ქარ-თველები, 2016: 29).

შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანის გარდამავალ ეტაპზე, ძვ. წ. XVI-XV სს-ში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, ფორმირებას იწყებს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ,,კოლხური ბრინჯაოს კულტურა", რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, ძვ. წ. XIV საუკუნიდან, მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იწყებს გავრცელებას თავისი მახასიათებელი და სპეციფიკური კერამიკით, ლითონის ნაწარმით და სამკაულით, რაც მკვლევრებს დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ზანურენოვანი მოსახლეობის დამკვიდრების მოწმობად მიაჩნიათ (მიქელაძე, 1974: 20; ლორთქიფანიძე, 1986: 51; ლორთქიფანიძე, 2002: 133-134; ბარამიძე, 1999: 25-26; ჯიბლაძე, 2000: 23). ამ დროს, მათი მოსაზრებით, ზანურენოვანმა მოსახლეობამ შეავიწროვა და კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებისაკენ განდევნა დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში მოსახლე სვანები, რაც გამოხატულია შესაბამის ტერიტორიაზე ახალი ტიპის ლითონის ინვენტარის დამკვიდრებითა და კერამიკულ წარმოებაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებებით (ლორთქიფანიძე, 1986: 51; ლორთქიფანიძე, 2002: 18, 133; ჯიბლაძე, 2000: 23). თუმცა, ყველა როდი იზიარებს მოსაზრებას მკვლე-ვართა მიერ სვანურენოვან მოსახლეობასთან დაკავშირებული პროტოკოლხური კულტურის კოლხური კულტურით ძალადობრივი გზით შეცვლასთან დაკავშირებით. მალხაზ ბარამიძის გამოკვლევით, აღნიშნულ პერიოდში, დასავლეთ საქართველოს ბარში მა-ტერიალური კულტურის მკვეთრ ცვლილებას არ აქვს ადგილი. პროტოკოლხურ და კოლხურ კულტურებს შორის დასტურდება გარდამავალი საფეხური, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს არა პროტოკოლხური კულტურის კოლხური კულტურით ძალადობრივ შეცვლასთან, არამედ ამ კულტურათა შერწყმა-დიფუზიასთან (ბარამიძე, 1998: 117-125; ბა-რამიძე, 1999: 25).[1] მალხაზ ბარამიძის მოსაზრებით, შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანის გარდამავალ ეტაპზე, სპილენძის მადანზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო, დასავლეთ საქართველოს ბარში განსახლებული სვანურენოვანი მეტალურგი მოსახლეობა ნებაყოფილობით ტოვებს ბარს და მთის ზონაში ინაცვლებს, მიწათმოქმედი სვანები კი რჩებიან

[1] პროტოკოლხური და კოლხური კერამიკის უმჭიდროეს კავშირზე, თავის დროზე, თეიმურაზ მიქელაძეც მიუთითებდა, თუმცა, მისი მოსაზრებით, ისევე როგორც კოლხური, პროტო-კოლხური კულტურაც ზანურენოვანი მოსახლეობის კუთვნილებაა. რაც შეეხება სვანებს, თეიმურაზ მიქელაძის შეხედულებით, სვანურენოვანი მოსახლეობა, ძვ. წ. III ათასწლეულში ჭოროხის აუზიდან მოყოლებული ენგურის აუზამდე იყო განსახლებული, *,,რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა პროტო-კოლხური კერამიკის მომხმარებელ ტომებს და რომელიც ამ უკანასკნელთა გაჩენის შემდეგ მათთან ერთად თანაარსებობდა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეებში, როგორც მატარებელი ქსოვილიანი კერამიკისა"* (მიქელაძე, 1974: 72).

კოლხეთის ბარში და ერწყმიან ზანურენოვან მოსახლეობას, რომელიც, მისი შეხედულებით, გვიანბრინჯაოს ხანიდან, ამ რეგიონში წამყვანი და ძირითადი მოსახლეობაა (ბარამიძე, 1998: 128-130; ბარამიძე, 1999: 26).

ჩვენ, ცხადია არ გამოვრიცხავთ შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანის გარდამავალ ეტაპზე ზანურენოვანი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების რიონს სამხრეთიდან რიონს ჩრდილოეთით გადასახლებას, ისევე როგორც სვანურენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რიონს სამხრეთით, თუნდაც ჭოროხის ხეობასა და მის მიმდებარე ადგილებში გადასვლას,[1] მაგრამ, მოსაზრებას

---

[1] ლაზური ენის ათინურ-ართაშენული დიალექტი, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ამავე ენის ვიწურ-არქაბული და ხოფურ-ჩხალური დიალექტებისაგან, დიდ მსგავსებას ავლენს სვანურ ენასთან (ველარულ ხშულთა პალატალიზაცია წინა რიგის ხმოვნებისა და პალატალური თანხმოვნის წინ, თანხმოვანთ კომპლექსების გარდაქმნა: ა) კომპლექსის გამარტივება პირველი წევრის - დენტალური ხშულის - დაკარგვით, ბ) კომპლექსის პირველი წევრის - აფრიკატის - სპირანტიზაცია), რაც პროფესორ გურამ კარტოზიას სწორი შეფასებით, შემთხვევითი არა ჩანს. მისი მოსაზრებით, ათინურ-ართაშენულსა და სვანურში მიმდინარე ფონეტიკური პროცესების ერთგვარობა *,,უნდა მიუთითებდეს ამ ორი ენობრივი ერთეულის მჭიდრო კონტაქტებზე შორეულ წარსულში. შეიძლება დავუშვათ, რომ ათინურ-ართაშე-ნულის წინაპარი, საერთო-ქართველური ფუძეენის დასავლური დიალექტის - კოლხურის - შემადგენელი ზანური კილოკავის მარგინალური თქმა, უშუალოდ ემეზობლებოდა კოლხური დიალექტის სვანურ კილოკავს, რამაც შეაპირობა მასში სვანურისათვის ნიშანდობლივი რიგი ფონეტიკური თავისებურების წარმოქმნა-განვითარება. ათინურ-ართაშენულისა და სვანურის (უფრო სწორად, მათი წინაპარი ენობრივი დანაყოფების) უშუალო მეზობლობას შესაძლოა ქართველურ ტომთა მიგრაციამდელ ეპოქაში ჰქონოდა ადგილი... შეიძლება დავუშვათ, რომ საერთო-ქართველური ენის დასავლური ანუ კოლხური დიალექტი სვანურისა და ზანურის (ანუ, მეგრულისა და ლაზურის) წინაპარი კილოკავების (თუ თქმების) გარდა, სხვა კილოკავებისაგანაც (თქმებისაგანაც) შედგებოდა. ერთი ასეთი კილოკავი შესაძლოა ყოფილიყო დღევანდელი ათინურ-ართაშენული დიალექტის წინაპარი, რომელიც ტერიტორიულად სვანურსა და ზანურს (მათ წინაპარ ენობრივ დანაყოფებს) შორის უნდა ყოფილიყო მოქცეული. ეს შუალედური პოზიცია განაპირობებდა საერთო ენობრივ (კერძოდ, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ) მოვლენებს როგორც სვანურთან... ისე ზანურთანაც. ქართველურ ტომთა სავარაუდო მიგრაციული ტალღების შედეგად ზანური კილოკავის მატარებლები, როგორც ჩანს, მოექცნენ სვანურისა და ათინურ-ართაშენულის წინაპარ კილოკავებზე მეტყველთა შორის, რამაც განაპირობა შემდგომში ათინურ-ართაშენულზე ზანურის დიდი გავლენა და მათი კილოური ერთობა. დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც: დღევანდელი ლაზური ენის ათინურ-ართაშენული კილოს წინაპარი მეტყველება საერთო-ქართ-ველური ენის კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის შემადგენლობაში შედიოდა და ზანურ კი-ლოკავზე მეტყველთა გადაადგილების (თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიხედვით, ქართველურ მიგრაციათა მეორე ტალღის) შედეგად ზანურმა მეტყველებამ ორ ნაწილად (ჩრდილოურ და სამხრეთულ არეალებად) გახლიჩა სვანური და მნიშვნელოვნად შეკვეცა ამ უკანასკნელის გავრცელების არე. სამხრულმა სვანურმა (ათინურ-ართაშენულის წინაპარმა მეტყველებამ) საერთო-ქართველური ენის ზანუ-რი დიალექტის დიდი გავლენა განიცადა და საბოლოოდ ლაზური ენის დიალექტად იქცა, შეინარჩუნა რა სვანურთან საერთო რიგი თავისებურება“* (კარტოზია, 2000: 44-50). არ ვიზიარებთ

იმის შესახებ, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან დასავლეთ საქართველოს ბარში (ვგულისხმობთ რიონს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას) ზანები *,,წამყვანი და ძირითადი მოსახლეობაა“*, ვერ გავიზიარებთ. ჩვენი შეხედულებით, კოლხური კულტურის ფართო გავრცელება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ კულტურის გავრცელების არეალში მოსახლე ტომებს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების არსებობით (გაცვლა-გამოცვლა, ტექნოლოგიური გავლენები და ა. შ.)[1] და არა კოლხური კულტურის გავრცელების მთელს ტერიტორიაზე ზანურენოვანი მოსახლეობის ბინადრობით.[2] ამ დროს, რიონს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით (პირობითად, ლიხის ქედამდე) და ჩრდილო-დასავლეთით (სავარაუდოდ მდინარე გუმისთამდე) მდებარე დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში ძირითადად სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.[3]

დასავლეთ საქართველოს ბარში სვანურენოვანი მოსახლეობის ფართო განსახლებას ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VIII საუკუნის 30-20-იან წლებამდე, როდესაც, წინა აზიას, მეოტიდა-კოლხეთის გზით, აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებით შემოესივნენ კიმერიელები (მელიქიშვილი, 2006: 39-

---

რა, ქართველურ ტომთა მიგრაციის შესახებ, თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის თეორიას, ვერც გურამ კარტოზიას ზემოაღნიშნულ მოსაზრებას დავეთანხმებით. ჩვენი შეხედულებით, ის უფროა სავარაუდო, რომ ლაზური ენის ათინურ-ართაშენულ დიალექტზე მოსაუბრენი, რომელიღაც ძველ დროში, ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადასახლებული სვანურენოვანი მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ, რომელთა სალაპარაკო ენამ, დროთა განმავლობაში, ზანური ენის დიდი გავლენა განიცადა და საბოლოოდ ლაზური ენის დიალექტად იქცა, შეინარჩუნა რა სვანურთან საერთო რიგი თავისებურება.

[1] მით უფრო, რომ კოლხური კულტურის გავრცელების არეალში, ძირითადად მონათესავე ტომები იყვნენ განსახლებულნი.

[2] კოლხური კულტურა გავრცელებული იყო როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ისტორიულ მესხეთსა და ლიხის ქედის აღმოსავლეთით, ისტორიულ შიდა ქართლშიც, ხოლო ზღვის სანაპირო ზოლში თავს იჩენს დღევანდელი ორდუს (თურქეთის) ტერიტორიაზეც. ცხადია, ზანურენოვანი მოსახლეობის ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე განსახლება გამორიცხულია. ამდენად, ამა თუ იმ კულტურის გავრცელება არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის გავრცელების მთელს ტერიტორიაზე მაინცდამაინც ამ კულტურის შემოქმედი ხალხი იყოს განსახლებული და წარმოადგენდეს ,,წამყვან და ძირითად მოსახლეობას“.

[3] ძვ. წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში, დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში სვანურენოვანი მოსახლეობის ფართო განსახლებას არაერთი მკვლევარი ადასტურებს. იხ.: (მელიქიშვილი, 1970: 341; მელიქიშვილი, 2007: 168, 173; ლეთოდიანი, 1982: 49; ლორთქიფანიძე, 1990: 5; ინაძე, 1993: 397; 49; 5; 397; ცხადაია, 2000: 74).

40],[1] რომელთა გამანადგურებელ ლაშქრობას, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ბარის ტერიტორიაზე მოსახლე სვანურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი შეეწირა.[2] სწორედ კიმერიელთა ლაშქრობის შემდგომ უნდა დაწყებულიყო დასავლეთ საქართველოს ბარში სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის ზანურენოვანი ქართველური მოსახლეობით ჩანაცვლების პროცესი.[3]

ამრიგად, სვანეთის ტერიტორიის მუდმივი დასახლების პროცესი უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან, დასავლეთ ამიერკავკასიისა და მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ქართველური მოსახლეობის მიერ, რომელთაგან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, უნდა წარმართულიყო სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის ფორმირების პროცესი, რიონს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთი კალთების ჩათ-ვლით. პრასვანური მოსახლეობის აღმოსავლეთით გავრცელების არეალი, პირობითად, ლიხის ქედამდე უნდა ვიგულისხმოთ, დასავლეთით კი, თუ უფრო შორს არა, სტრაბონის ცნობათა გათვალისწინებით (ის წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, დიოსკურიის ზემოთ ,,სოანე-ბი“-ს განსახლებას ადასტურებს) (ყაუხჩიშვილი, 1957: 126), მდინარე გუმისთამდე მაინც, რა თქმა უნდა, თუკი, სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთით ასე შორს განფენა უფრო გვიანდელი ხანის მოვლენას არ წარმოადგენს. სვანურენოვანი მოსახლეობის ფართო განსახლებას, დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში, ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VIII საუკუნის 30-20-იან წლებამდე, კიმერიელთა გამანადგურებელ ლაშქრობებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარამიძე, (1998): მალხაზ ბარამიძე, *აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები),* დისერტაცია

[1] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად კიმერიელებმა წინა აზიაში შემოჭრისათვის გამოიყენეს მეოტიდა-კოლხეთის გზა. იხ.: (გვეტაძე, 2001: 278-287).

[2] ნიშანდობლივია, რომ ბალს ქვემო სვანეთის (მესტიის რაიონი, ე. წ. ,,სადადეშქელიანო სვანეთი“) მოსახლეობაში დღემდე ,,ცოცხლობს“ გამოთქმა: ,,კიმორად ათვაფ“, ანუ კიმორასავით (კიმერიელივით) დაიკარგაო და აღნიშნავს სამუდამოდ დაკარგვას. მართლაც, კიმერიელებმა, წინა აზიისაკენ მიმავალ გზაზე, სასტიკად დაარბიეს რა ისტორიული კოლხეთის სამეფოს მიწა-წყალი, დასახლდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ და ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში, რის შემდგომაც დასავლეთ საქართველოს ბარში და მის მიმდგომ მხარეებში, შესაბამისად, არც სვანურენოვანი მოსახლეობის სიახლოვეს არ გამოჩენილან.

[3] როგორც ცნობილია, კიმერიელთა ლაშქრობებმა, ქართული ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლება გამოიწვია. იხ.: (ჯავახიშვილი, 1979: 65; ლომოური, 2001: 4; მელიქიშვილი, 2006: 40).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი;

ბარამიძე, (1999): მალხაზ ბარამიძე, ძვ. წ. III-I ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია (აფხაზეთის მასალების მიხედვით), *აფხაზეთის მოამბე,* II-III, თბილისი;

გვეტაძე, (2001): ჯემალ გვეტაძე, კიმერიელთა კავკასიაში განსახლების საკითხისათვის, გურია (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), III, თბილისი, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება ,,მეცნიერება“;

თოფურია, (1931): ვარლამ თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა;

თოფურია, (2002): ვარლამ თოფურია, შრომები, II, თბილისი, გამომცემლობა ,,ქართული ენა“;

ინანიშვილი, ჯიბლაძე (2019): გივი ინანიშვილი, ლერი ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი, თბილისი;

ინანიშვილი და სხვები (1998): გივი ინანიშვილი, შოთა ჩართოლანი, ბესარიონ მაისურაძე, გელა გობეჯიშვილი, თეიმურაზ მუჯირი, საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. *ძიებანი,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, II, თბილისი;

ინაძე (1993): მერი ინაძე, ტერმინი ,,ჭანები“, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია,* თბილისი;

კარტოზია (2000): გურამ კარტოზია, სვანურისა და ზანურის ურთიერთმიმართების ისტორიისათვის, *ქართული ენის კათედრის შრომები,* V, თბილისი;

კვიციანი, ჯიბლაძე (2010): ზვიად კვიციანი, ლერი ჯიბლაძე, კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით). *კულტურულ-საისტორიო ძიებანი,* თბილისი;

კვიციანი, ჯიბლაძე (2015): ზვიად კვიციანი, ლერი ჯიბლაძე, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში, თბილისი;

ლეთოდიანი (1982): დიმიტრი ლეთოდიანი, ლეჩხუმი ადრეფეოდალურ ხანაში, *სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* 227, თბილისი;

ლომოური (2001): ნოდარ ლომოური, დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური სურათი ახ. წ. II საუკუნეში, *ნარკვევები,* VII, თბილისი;

ლორთქიფანიძე (1990): მარიამ ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი;

ლორთქიფანიძე (1986): ოთარ ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი;

ლორთქიფანიძე (2002): ოთარ ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

მელიქიშვილი (1970): გიორგი მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტომი I, გამომცემლობა *„საბჭოთა საქართველო“*, თბილისი;

მელიქიშვილი (2006): გიორგი მელიქიშვილი, ქართველ ტომთა გაერთიანებები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს – ახ. წ. III საუკუნეში, საქართველოს ისტორია, ტ. I (ტომის რედაქტორი ნოდარ შოშიაშვილი, მთავარი რედაქტორი მარიამ ლორთქიფანიძე), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

მელიქიშვილი (2007): გიორგი მელიქიშვილი, ქართველური ტომები, მათი დიფერენციაციისა და კონსოლიდაციის პროცესები, აჭარის მოსახლეობის ადგილი ქართველურ ტომთა ერთიანობაში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* აჭარა, ტომი I, უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე, გამომცემლობა *„ინოვაცია“*, ბათუმი;

მიქელაძე (1974): თეიმურაზ მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეუ-ლები), გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი;

ფხაკაძე (1992): გურანდა ფხაკაძე, დასავლეთ საქართველო ადრებრინჯაოს ხანაში, საქართველოს არქეოლოგია რვა ტომად, ტომი II, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი;

ფხაკაძე, (1993): გურანდა ფხაკაძე, დასავლეთი ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი;

ქართველები (ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ), გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2016;

ღამბაშიძე და სხვები (2010): ირინა ღამბაშიძე, გიორგი მინდიაშვილი, გიორგი გოგოჭური, კახა კახიანი, ირაკლი ჯაფარიძე, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, გამომცემლობა ,,მწიგნობარი“, თბილისი;

ყაუხჩიშვილი (1957): თინათინ ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი;

ჩართოლანი, (1992): მიხეილ ჩართოლანი, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის, ჟურნალი ,,მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, II, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, II, თბილისი;

ჩართოლანი (1996): შოთა ჩართოლანი, ძველი სვანეთი, შპს გამომცემლობა ,,კერა XXI“, თბილისი;

ჩართოლანი (2010): შოთა ჩართოლანი, შრომები, რედაქტორ-გამომცემელი ჯუანშერ ამირანაშვილი, თბილისი;

ჩარკვიანი (1967): ალექსანდრე ჩარკვიანი, სვანეთი (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი), გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი;

ცხადაია (2000): პაატა ცხადაია, ტოპონიმიკური ვითარება სამურზაყანოში, ჟურნალი ,,არტანუჯი“, X, თბილისი;

ჯავახიშვილი (1979): ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი I, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,* თბილისი;

ჯანაშია (1959): სიმონ ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები (ქართველურ ადიღეური პარალელები. I), შრომები, III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი;

ჯაფარიძე (1982): ოთარ ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, ჟურნალი ,,მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, II, გამომცემლობა ,,მეცნიერება“, თბილისი;

ჯაფარიძე (2003): ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

ჯაფარიძე (2006): ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გამომცემლობა ,,არტანუჯი“, თბილისი;

ჯაფარიძე (2012): ოთარ ჯაფარიძე, ადრეული ბრინჯაოს ხანა, *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად* (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტომი I, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი;

ჯაფარიძე (2013): ოთარ ჯაფარიძე, ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი;

ჯიბლაძე (2000): ლერი ჯიბლაძე, პროტო და ძველკოლხური კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის, *ძიებანი* (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი), VI, თბილისი;

Климов (1964): Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, *Издательство* Академии Наук *СССР*, Москва;

Klimov (1998): G. A. Klimov, Etymologikal Dictionary of Kartvelian Languages, Berlin-New york.